წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 1

ქ. წალენჯიხა 2024 წლის 25 იანვარი

2024 წლის 25 იანვარს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა, ლევან მებონია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელები, საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 11[00] სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12[30] საათზე

დღის წესრიგი:

1. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   მომხსენებელი: **თეა სარია**, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის 1 იანვრისთვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე არსებული ნაშთების, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების , საკუთარი სახსრებიდან 2023 წელს აღებული ვალდებულებების დასაფარავად და ასევე სახაზინო ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთების გადანაწილების, „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელიპროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის

გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით მიღებული თანხის (4 379 324 ლარი), „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით მიღებული თანხის (644 000 ლარი), მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად გამოყოფილი თანხის (1 564 500 ლარი), განახლებული რეგიონების ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის (429 300 ლარი) ასახვის აუცილებლობით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დებატები.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ მომხსენებელს მიმართა, რომ გაეშიფრა თავისუფალი ნაშთის გადანაწილება.

მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ აღნიშნა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფერისცვალების სახელობის ტაძარს უსრულდება 1000 წლის იუბილე. სწორედ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იგეგმება წიგნის გამოცემა, რომელიც იქნება სასაჩუქრე ვერსია. დაიბეჭდება 500 ცალი, რომელიც დაახლოებით 30 ათასი ლარი ჯდება. ეს მთელი მუნიციპალიტეტისათვის და თითოეული ჩვენთაგანისათვის მნიშვნელოვანი და ძვირფასი ნივთი იქნება.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მომხსენებელს მიმართა გაეშიფრა ბიუჯეტით გათვალისწინებული 38 ათასი ლარის ხარჯი, რასაც მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ მერიის ეს ხარჯი 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული. არის მთელი რიგი საჭიროებები და ზემოაღნიშნული თანხა გადანაწილებულ იქნება საოფისე ავეჯის, მაგალითად, პრინტერის, კარადის, სკამის და ა.შ ნივთების შესაძენად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ მერის პირველ მოადგილეს ივანე ბურდულს მიმართა კითხვით, თუ რის საფუძველზე ჩაისვა ხვითერის უბნის რეაბილიტაციისათვის 30 ათასი ლარი. რა კრიტერიუმებით ხდება შერჩევა და აქვთ თუ არა ამ უბნის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება. ნათელია, რომ ეს არის პირდაპირ პარტიული ინტერესიდან გამომდინარე. ავთანდილ გაბელიას კითხვას გამოეხმაურა საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია და უპასუხა, რომ მოსახლეობის კოლექტიური განცხადების საფუძველზე ჩაისვა ნაკიფუს თემის სააბულაძოს უბნის რეაბილიტაცია. ასევე მან აღნიშნა, რომ ნაკიფუს ერთერთ უბანში ჩამოწვა მეწყერი და მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, მათთან შეთანხმებით ჩაისვა ამ პრობლემის მოგვარება, რისთვისაც საჭიროა 10 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ ივანე ბურდულს მიმართა, თუ რატომ არ არის პრიორიტეტები გათვალისწინებული და რატომ არ ხდება შესასრულებელი სამუშაოების შერჩევა პრიორიტეტების მიხედვით. ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ გასაკეთებელი არის ძალიან ბევრი და ყველაფერს ვერ გაწვდება ბიუჯეტი, ამიტომ მერია ცდილობს მოქალაქეთა განცხადებების, მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმოს პრიორიტეტები.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ომარ ქარდავამ ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხის მოწყობასთან დაკავშირებით (მოქალაქე ნინო ქოქოსაძის განცხადება) აღნიშნა, რომ კომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და დადო დასკვნა, რომ უნდა გაკეთდეს

სანიაღვრე არხი. საკითხი მზადების პროცესშია. მოხდება ხარჯების დაანგარიშება, თუ რა დაჯდება აღნიშნული პრობლემის მოგვარება და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მერია მოიძიებს თანხებს. საკითხს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი ლევან მებონია და აღნიშნა, რომ სჯობდა წინასწარ დაეანგარიშებინათ პროექტი და თანხა მაგის მიხედვით განგესაზღვრათ. იქნებ 5-ჯერ მეტი დაჯდეს ვიდრე არის გათვალისწინებული, უფრო მეტი პრობლემის წინაშე დადგებით.

მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა განმარტა, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტა კანონის ფარგლებში მოხდება.

საკრებულოს წევრი ნანა ქობალია გამოეხმაურა ზემოაღნიშნულს და აღნიშნა, რომ სრულიად გაუგებარია და მიუღებელია, თუ რატომ გეცოტავებათ 25 მოსახლე და მათი პრობლემის მოგვარება რატომ არ უნდა იყოს პრიორიტეტი, როცა თითოეული მოქალაქის პრობლემა მნიშვნელოვანი უნდა იყოს თვითმმართველობისთვის.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ განმარტა, რომ ყველა ზემოხსენებული პროექტის მოგვარება მნიშვნელოვანია, თუმცა ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ამისთვის საკმარისი თანხა მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. ბიუჯეტთან დაკავშირებით ისევ უნდა წამოვწიოთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ენგურჰესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელზეც არავინ საუბრობს. მუნიციპალიტეტს ბევრად მეტი თანხა ეკუთვნის ენგურჰესიდან, მოვითხოვთ ამის მოგვარებას და ერთად ვიბრძოლოთ მიზნის მისაღწევად. ფრაქციას მოთხოვნილი ჰქონდა 50 ათასი ლარის ბიუჯეტში გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფდა საქმის სასამართლოში წარმოებასთან დაკავშირებით აუცილებელ ხარჯებს. რაც მართალია მცირედია, თუმცა საქმის წამოწყებისთვის სასიცოცხლოდ-მნიშვნელოვანი . მერიამ ეს თანხა 2024 წლის ბიუჯეტში არ გაითვალისწინა და არც ამ ცვლილებითაა გათვალისწინებული. მერის პირველ მოადგილეს სთხოვა განემარტა, თუ რატომ არ მოხდა ამ თანხის ბიუჯეტში ასახვა.

გონერი კვარაცხელიას წინადადებას გამოეხმაურა საკრებულოს წევრი ლევან მებონია და აღნიშნა, რომ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზამ ჰესის აფასებისათვის მოითხოვა 400 ათას ლარზე მეტი და 50 ათასი ლარის მოთხოვნა სალაპარაკოდაც არ ღირს, ვინაიდან პროცედურული საკითხები დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ასე იოლად არ ხდება შეფასება. როგორც ყველასთვის ცნობილია ენგურჰესი საბჭოთა კავშირის დროს აშენდა, მას მერე დიდი დროა გასული და თანხები იმ პერიოდთან შედარებით რადიკალურად განსხვავებულია. ფაქტიურად აუდიტი ვერ მოახერხებს მის შეაფასებას . გაუგებარია რა პრინციპით უნდა მოხდეს შეფასება და რა თანხიდან უნდა გამოვიდეთ.

ლევან მებონიას განმარტებას უპასუხა გონერი კვარაცხელიამ და აღნიშნა, რომ იმას ვითხოვთ რაც გვეკუთვნის და კანონით არის განსაზღვრული.ნუ იკადრებთ და ნუ გვეტყვით, რომ ვერ მოხდება ობიექტის აფასება. ბავშვები არცერთი არვართ და რა როგორ ხდება ყველაფერი კარგად ვიცით. ქონება აუცილებლად უნდა შეფასდეს ეს ელემენტარულია. კანონით 10% გვეკუთვნის და ამას ვითხოვთ , მეტს არაფერს.

მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა განმარტა, რომ ჩხოროწყუ და სხვა მუნიციპალიტეტებში სადაც უფრო პატარა ჰესებია განთავსებული, გაცილებით მეტი თანხაა მათგან მობილიზებული ბიუჯეტში, ვიდრე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში და გაუგებარია აქ რატომაა მოუგვარებელი ეს პრობლემა.

მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ მიმართა საკრებულოს წევრს ლევან მებონიას , რომ როგორც მუნიციპალიტეტის მკვიდრი პირველ რიგში ის უნდა იყოთ დაინტერესებული ამ პრობლემით და მან უნდა იბრძოლოს ამისთვის. უდაოა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ჰესის

განთავსებამ ბევრი დადებითი და უარყოფითიც მოიტანა. უარყოფითია ის, რომ გახშირდა ჩვენს მუნიციპალიტეტში ონკოლოგიური და სხვადსხვა იშვიათი ტიპის დაავადებები. გაგებით უნდა მიუდგეთ ამ საკითხს და აუცილებლად უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ წინა მთავრობის განკარგულებით 3- ჯერ მოხდა სახელმწიფო ქონების აფასება, რა დროსაც არ იყო არც წამოებული აუდიტის და არც სხვა თანხების გადახდა საჭირო. სწორედ მაგ პერიოდში პრემიერმა მერაბიშვილმა არცერთხელ არ ჩათვალა საჭიროდ ენგურჰესის ბალანსზე არსებული ქონების აფასება და ახლა ამაზე თავგამოდებით ბრძოლას აზრი არა აქვს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ ხაზი გაუსვა ბიუჯეტის ხარჯებში გათვალისწინებულ სასამართლო ხარჯებში 100000 ლარის გათვალისწინებას, მან კითხვით მიმართა ივანე ბურდულს, თუ რა დამსახურებით მოხდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრში იურისტის მოწვევა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავთ და რომელსაც უხდით კოლოსალურ თანხას. სწორედ მისი დამსახურებით გიწევთ ახლა 100 ათასი ლარის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. რას ერჩოდით იმ ხალხს, რისთვის გაათავისუფლეთ გაუგებარია. სრულიად გაუგებარია საკრებულო რატომ უჭერს მხარს ამ ყველაფერს.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, მერის მიერ თავისუფლების ჰაბად წოდებული მონუმენტის თანხა რატომ არ იყო ათვისებული, რასაც ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე პროცედურები დაწყებულია და მიწის გადმოცემას ელოდებიან. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებით ნაშთით შედის ის თანხები, რაც წინა წლიდან ვალდებულებად გადმოვიდა.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ მიმართა კითხვით, თუ რა ვადებში მოხდება თანხის ათვისება, როგორც ვიცით 10 დღე არის კანონით ამისთვის განსაზღვრული, რაზეც ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ თანხის ათვისება მოხდება ეტაპობრივად . აქ არის ისეთი მნიშვნელოვანი თანხები გათვალისწინებული, როგორიცაა საახალწლო ღონისძიებების,ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ხარჯები, რომლის გარეშეც ფაქტიურად ფერხდება საკრებულოსა და მერიის მუშაობა და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი თანხა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გადახდილი. არის ისეთი პროექტები რაც შეიძლება ყველა ფრაქციისთვის არ იყოს მოსაწონი, მაგრამ უმეტესად არის ისეთი ხარჯებია გათვალისწინებული რისი გადახდა აუცილებლობას მოითხოვს. მერია მზად არის ნებისმიერ დროს ნებისმიერ პროექტზე, თუ თანხებზე, ფრაქციებთან ერთად კონსულტაციები გავიაროთ.

ასევე მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ მიმართა საკრებულოს წევრებს მხარი დაეჭირათ ბიუჯეტის ცვლილებისთვის და გაეთვალისწინათ მთელი რიგი პრობლემები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რომლის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს დარეჯან დადიანმა და დავით ბელქანიამ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე. დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირ 13-მა დეპუტატმა, (კორნელი სალია, გიორგი დარსალია, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერი კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი იყო 9 დეპუტატი (მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, მაია

მიქავა, ბესიკ ფარცვანია, ნანა კეკუა, დათა კუკავა, ლევან მებონია, ნანა ლემონჯავა), ვინაიდან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საფინანსო ხასიათის ნორმატიული აქტის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა (14 დეპუტატი), „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი არ იქნა მიღებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**